პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 222 (10308) | კვირა, 18 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი

1955 წლის 17 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ამხ. გროტეოლი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები — პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვალტერ ულბრიხტი, ოტო ნუშკე, ლოტარ ბოლცი. მიღებას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი

17 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი.

ამხანაგ ო. გრორტეოლს ახლდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვ. ულბრიხტი, ო. ნუშკე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

მიღების დროს გაიმართა კ. ე. ვოროშილოვის მეგობრული და გულითადი საუბარი ო. გროტეოლთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებთან. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა საუზმე გამართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ი. კ. პაასიკივის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 16 სექტემბერს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ი. კ. პაასიკივის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ ბ-ნი ი. კ. პაასიკივი, ფინეთის პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, აგრეთვე თავდაცვის მინისტრი ე. სკუგი, მინისტრი რ. სვენტო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი რ. სეპიალია და პრეზიდენტის თანმხლები სხვა პირები. სტუმრებს შორის იყვნენ ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი, ფინეთის საელჩოს მრჩეველი ი. ჰალამა, სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ე. კუუსელა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. გ. ბაკაევი, თ. დ. ვარაკსინი, ი. გ. კაბანოვი, ი. ი. ნოსენკო, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

საუზმის დროს, რომელმაც გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. კ. პაასიკივიმ. (საკდესი).

მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეათე სესიაზე

17 სექტემბერს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეათე სესიაზე. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი. (საკდესი).

აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს კურის დამზადების სახელმწიფო გეგმა

აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად და ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. პურის ჩაბარება გრძელდება; სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდება და მიეყიდება სულ ცოტა 730 ათასი ფუთი ძარცვლეული.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას. 1954 წლის 1 ოქტომბრიდან ამა წლის 1 სექტემბრამდე რძის საერთო წველადობა კოლმეურნეობებში ორჯერ და მეტად გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. სახელმწიფოს ჩაბარდა 30 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს სამინდის თესვასა და დამუშავებაში, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობასა და უხეში და წვნიანი საკვების დამზადებაში. კოლმეურნეობების, მტს-ების, შეფი სამრეწველო საწარმოებისა და მშენებელი ორგანიზაციების ძალებით წელს კოლმეურნეობებში აშენდა 972 ათასი ტონა ტევადობის სასილოსე ნაგებობანი, აქედან 687 ათასი ტონა ტევადობის კაპიტალური ნაგებობანი. უკვე ახლა ჩადებულია 383 ათასი ტონით მეტი სილოსი, ვიდრე შარშან. სილოსის ჩადება და უხეში საკვების დამზადება გრძელდება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აგრეთვე შეასრულეს მწვანე ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმა 116 პროცენტით და კურკოვანი ხილისა — 110 პროცენტით.

ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია ბამბის აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება, საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვა და პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ ბამბის, ხილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის, მატყლის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

17 სექტემბერს, 16 საათზე მოსკოვის დროით კრემლის დიდ სასახლეში მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით შემდგომ ღონისძიებათა საკითხზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვილი შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო ნუშკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლოტარ ბოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბრუნო ლეიშნერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იოჰანეს კენიგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პეტერ ფლორინი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ერიხ კორენსი, დემოკრატიული გლეხთა პარტიის გენერალური მდივანი ბერტოლდ როზე, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი მანფრედ გერლახი, დელეგაციის მდივანი ელჩი ფრიც გროსე.

მოლაპარაკება დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის განცხადებით.

შემდეგ განცხადება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა.

განცხადებათა ტექსტები ქვემოთ ქვეყნდება.

აზრთა გაცვლის შემდეგ დათქმულ იქნა, რომ შემდეგი სხდომა გაიმართება 19 სექტემბერს დილით. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის განცხადება 1955 წლის 17 სექტემბერს

ამხანაგო პრემიერ-მინისტრო! ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობის სახელით მოვესალმები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ოტო გროტეოლი და რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

ჩვენს მოლაპარაკებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არის მოლაპარაკება ქვეყნებს შორის, რომლებსაც აერთებს ინტერესთა ერთიანობა და აკავშირებს ღრმა გულწრფელი მეგობრობა. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა გამსჭვალულია ურთიერთნდობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით, იგი ემყარება სრულ თანასწორუფლებიანობას, სუვერენიტეტის პატივისცემასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპის ხალხთა და, კერძოდ, გერმანელი ხალხის მდგომარეობაში ძირეული ცვლილებანი მოხდა. გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა დიდი დემოკრატიული გარდაქმნები, რომელთა შედეგად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა თვით ხალხი, გერმანელი მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია. გერმანიის ისტორიაში პირველად შეიქმნა და წარმატებით ვითარდება ნამდვილი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც გაანახორციელა საუკეთესო იდეალები, რომლებისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდნენ გერმანიის მოწინავე ადამიანები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები გახდნენ თავისუფალი ადამიანები, ქარხნების, რკინიგზების, ბანკების ბატონ-პატრონები. მიწა გადავიდა იმათ ხელში, ვინც მას ამუშავებს, ზრუნვა ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის სახალხო მთავრობის მთავარი საზრუნავი გახდა.

საბჭოთა ადამიანები დიდი თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებას, რომლებიც გერმანელი ერისათვის ჩვეული სიმტკიცით, შრომისმოყვარეობით, ორგანიზებულობით, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით აშენებენ თავიანთ რესპუბლიკას, გერმანელი მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს.

რა თქმა უნდა, თქვენ გიხდებათ ბევრი სიძნელის გადალახვა, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნასთან, იმ ძალების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ თქვენს წინსვლას. სიძნელეები, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ხვდება, ზრდის სიძნელეებია. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე საბჭოთა ხალხმა გაცილებით უფრო მეტი სიძნელენი გადაიტანა. ჩვენ მარტონი ვიყავით. ჩვენს წინააღმდეგ იყო მთელი კაპიტალისტური სამყარო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მარტო როდია. მას მხარს უჭერენ საიმედო და ძლიერი მეგობრები — საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი წლითიწლობით მტკიცდება. ამას ხელს ვერ შეუშლის იმაზე ლაპარაკი, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას „არ ცნობენ". გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს და წარმატებით ვითარდება იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოს ღრმა ფესვები აქვს გერმანელი ხალხის მთელ ისტორიასა და ცხოვრებაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი კვლავ განმტკიცდება, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ვისმე თუ არა.

ყოველივე ეს განგვიმარტავს, თუ რატომ შეიქმნა კარგი, მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რასაც უეჭველია დიდი მომავალი აქვს და რაც შეეფერება როგორც საბჭოთა, ისე გერმანელი ხალხების ინტერესებს.

საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია გერმანელ ხალხთან კარგი ურთიერთობით, რადგან ასეთი ურთიერთობა გადამწყვეტი ფაქტორია ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ასეთი ურთიერთობით არანაკლებ დაინტერესებულია გერმანელი ხალხიც.

ჩვენი მოლაპარაკების წინ, როგორც ცნობილია, გაიმართა მოლაპარაკება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან, რაც დამთავრდა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადადგმულია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე. ჩვენ გვსურს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ვიქონიოთ კარგი ურთიერთობა, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთის ინტერესების გათვალისწინებაზე. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ქმნის ახალ პერსპექტივებს ამ მიმართულებით, ახალ შესაძლებლობას გერმანიაში დაძაბულობის შენელებისათვის, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და განვითარება ხელს შეუწყობს იმ მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრას, რომლებიც მთელ გერმანიას ეხება, და ამით იგი უნდა დაეხმაროს გერმანელი ხალხის მთავარი საერთოეროვნული პრობლემის გადაჭრას — გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას.

ჩვენ ვიცით, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ შეთანხმებას მოწონებით შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა და იგი სამართლიანად აფასებს მას როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს აგრეთვე გერმანიის ორი ნაწილის დაახლოებას და მათს თანამშრომლობას. საბჭოთა კავშირს ეს მიაჩნია გერმანიის ერთიანობის აღდგენის ერთ-ერთ ძირითად წანამძღვარად.

თუ თვალს გავადევნებთ იმას, როგორ ვითარდებოდა უკანასკნელ დროს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა, შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა სულ უფრო ყოველმხრივი და ნაყოფიერი ხდება. 1950 წლიდან საქონელბრუნვის მოცულობა ჩვენს ქვეყნებს შორის 3-ჯერ და უფრო გადიდდა და 1954 წელს მიაღწია საგრძნობ ოდენობას — 4.286 მილიონ მანეთს. ჩვენ გვაქვს ურთიერთსასარგებლო გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებანი. სულ უფრო ფართოვდება კულტურული ურთიერთობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი ქვეყნების მთავრობებს შორის არსებობს შიხედულებათა ერთიანობა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისადმი, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი მისწრაფების ერთიანობა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ბერლინში ყოფნის დროს ამა წლის ივლისში ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები შემდგომ ღონისძიებათა შესახებ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით.

იმდროსვე შეეთანხმდით, რომ დადგა დრო ხელშეკრულების წესით, სათანადო ორმხრივი ხელშეკრულების დადების გზით განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა და შევქმნათ მისი შემდგომი განვითარების კარგი პირობები საბჭოთა და გერმანელი ხალხების საკეთილდღეოდ.

ასეთ ხელშეკრულებაში, როგორც ჩვენ შევთანხმდით ჩამოყალიბებული იქნება ძირითადი პრინციპები, რომლებზეც დამყარებულია და შემდეგში განვითარდება ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა. აღნიშნულ ხელშეკრულებაში დადასტურებულ იქნება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების, მათ შორის გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხების გადაჭრაში.

ასეთმა ხელშეკრულებამ უფრო უნდა განამტკიცოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში, აგრეთვე სხვა საერთაშორისო საქმეებში, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შეეხება.

ჩვენ აქ, მე ვფიქრობ, აზრები უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების დადების საკითხზე და შევთანხმდეთ ასეთი ხელშეკრულების ტექსტის მომზადებაზე.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეს მოლაპარაკება იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა და გერმანელი ხალხების კარგი ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში, აგრეთვე ნაბიჯი, რომლის მიზანია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება, გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის განცხადება 1955 წლის 17 სექტემბერს

პატივცემულო ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე!

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ჯერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მადლობა გადაგიხადოთ მოსკოვში ამ მოლაპარაკებაზე მოწვევისათვის. ჩვენი მოლაპარაკება იმ მოლაპარაკების განგრძობაა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით მიმდინარე წლის 24-დან 27 ივლისამდე ბერლინში.

ჩვენ მაშინ ერთსულოვნად ვემყარებოდით იმას, რომ ჟენევის თათბირმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას და რომ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა შემდგომი მოლაპარაკება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. ჩვენ სასურველად მიგვაჩნია დავდოთ ორმხრივი სახელმწიფო შეთანხმებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესახებ, რამდენადაც ასეთი შეთანხმებანი ხელს უწყობენ მშვიდობის უზრუნველყოფას და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას და ამით გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებას.

ჩვენ აგრეთვე მადლობელი ვართ სსრ კავშირის მთავრობისა მისი ღონისძიებებისათვის, რომლებმაც გამოიწვიეს საერთაშორისო ვითარების შენელება და ჟენევაში წარმატებათა მიღწევა. თუ მოხერხდა აგრეთვე ევროპასა და გერმანიაში დაძაბულობის ასეთივე შენელების უზრუნველყოფა, მაშინ შესაძლებელი გახდება გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება.

ჩვენ ვემყარებით რეალურ მდგომარეობას, რომ გერმანიაში შეიქმნა ორი გერმანული სახელმწიფო სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემით. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლიკვიდირებულია მონოპოლიებისა და იუნკერების ბატონობა. შეიქმნა მუშურ-გლეხური სახელმწიფო მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მშრომელ გლეხობასთან და პროგრესულ ინტელიგენციასთან კავშირით. ამით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლიკვიდირებულია მილიტარიზმი და მისი ფესვები, და გაიზარდნენ მშვიდობისმოყვარე ძალები, რომლებიც ახორციელებენ მშვიდობის ნამდვილი პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობას. ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა მშვიდობის ბურჯი გერმანიაში. დასავლეთ გერმანიაში, პირიქით, ეკონომიკასა და სახელმწიფო აპარატში მონოპოლისტები არიან გაბატონებული და მილიტარისტები კვლავ იძლევიან ტონს. ორივე გერმანული სახელმწიფო ამჟამად არსებობს მხარდამხარ და ცნობილია მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მიერ.

გერმანელი ხალხის უმრავლესობა დიდად წუხს, რომ პარიზის შეთანხმებებმა ხელი შეუშალეს გერმანიის პრობლემის გადაჭრას. მთავარი პასუხისმგებლობა ამისათვის აკისრიათ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ წრეებს. ამ წრეებიდან კვლავ მომდინარეობს მილიტარიზმის სწორედ ის სულისკვეთება, რომელმაც გამოიწვია დანაშაულობანი ევროპის ხალხთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ხალხთა წინააღმდეგ, და რომელმაც გერმანელ ხალხს აგრეთვე მიაყენა საშინელი ტანჯვა. ჩვენ არ დავუშვებთ ასეთი დანაშაულობის გამეორებას. ამიტომ ჩვენ ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ ევროპის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისა და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების ერთადერთი გზა არის ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, რაც თანდათანობით გამოიწვევს ევროპაში არსებულ სამხედრო დაჯგუფებათა ლიკვიდაციას. რამდენადაც ჯერ კიდევ დადებული არ არის სრულიად ევროპის ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ამიერიდან შეუდგება მოვალეობათა შესრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ვარშავაში დაიდო.

თვითეულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სავსებით ნათლად უნდა შეიგნოს, რომ გაერთიანებული გერმანია აღარასოდეს არ იქნება მილიტარისტული. მთელი გერმანიის შეყვანა ნატოში არასოდეს არ გახდება სინამდვილე. ხოლო თუ ორივე გერმანული სახელმწიფო შეუერთდება კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის სისტემას, მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე გაერთიანება შესაძლებელი გახდება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მე ერთხელ კიდევ ვიმეორებ აქ იმას, რაც უკვე განვაცხადე სახალხო პალატაში — რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემის შექმნაში. ახლა არსებულ პირობებში ჩვენ გადავწყვიტეთ გავამრავლოთ ჩვენი ღონისძიებანი, რათა მივაღწიოთ გერმანელთა შორის მოლაპარაკებას და მათს შეთანხმებას. მას შემდეგ, რაც ძალის პოლიტიკა ჩაიფუშა, დადგა დრო, რომ დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ გადასინჯოს თავისი პოლიტიკა და თავის მხრივ ხელი შეუწყოს გერმანიის პრობლემის მოწესრიგებას მშვიდობიანი გზით. ეს გააადვილებს ორივე გერმანული მთავრობის თანამშრომლობას. ერთობლივ მოლაპარაკებაში შეიძლება შეიქმნას ბაზა გაერთიანებული გერმანიის როგორც თავისუფლებისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს სტატუტის შესამუშავებლად, რათა ამრიგად შესაძლებელი გახდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის განცხადება 1955 წლის 17 სექტემბერს

(დასასრული)

ჩვენ აგრეთვე გამოვთქვამთ იმედს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ჟენევაში ოთხი დიდი სახელმწიფო მიაღწევს შეთანხმებას კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ და ამით დახმარებას გაუწევს გერმანელ ხალხს გამონახოს ერთიანობის გზა მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მთავარი პასუხისმგებლობა გაერთიანებისათვის გერმანელ ხალხს აკისრია. ამიტომ ჩვენ მივესალმებით იმ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მიიღო გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის და მასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. ვეყრდნობით რა მთელი გერმანელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ინტერესებს, იმედი გვაქვს, რომ ურთიერთობის ნორმალიზაციიდან წარმოიშობა ნამდვილი მეგობრობა, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მოსახლეობასა და საბჭოთა კავშირს შორის. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი შექმნის მომენტიდან ურღვევი მეგობრობა აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან. ეს შეეფერება მთელი გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების ძალით ჩვენი ორივე სახელმწიფო უკვე გაერთიანებულია კავშირის სისტემით, რომელიც შეეფერება მის მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს და მათი უშიშროების ინტერესებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა დროა საბოლოო სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ფორმა მიეცეს ყველა საკითხს ჩვენს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის და ყველა სხვა ურთიერთობის გაღრმავებისა და გაფართოების დარგში.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ მუშაობას ვაწარმოებთ ჩვენი ორივე ხალხის ინტერესებისათვის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ჩვენ აქ ჩამოვედით იმის რწმენით, რომ ერთობლივად მოვახერხებთ მივაწოდოთ შემდგომ წარმატებებსა და პროგრესს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის გაღრმავებისა და განმტკიცების, მშვიდობის უზრუნველყოფისა და გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ერთიანობის აღდგენის საქმეში.

წინადადება შემოგვაქვს შემდგომი მუშაობისათვის დაევალოთ ჩვენს ეკსპერტებს ახლავე შეუდგნენ ერთობლივ მოლაპარაკებას და შემოიტანონ წინადადებანი, რომელთა შესაბამისად ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ საბოლოო შეთანხმებას იმ დოკუმენტების ტექსტზე, რომელთა შესახებ უკვე შევთანხმდით. ამასთან უმთავრესად მხედველობაში გვაქვს ფორმულირება ხელშეკრულებისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის ურთიერთობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება

იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც 16 სექტემბერს მიღწეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და ფინეთის პრეზიდენტს ი. კ. პაასიკივის შორის, 17 სექტემბერს დილის 11 საათზე მოსკოვის დროით, მოსკოვში, კრემლში, გრძელდებოდა მოლაპარაკება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ორივე ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი.

ფინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ფინეთის პრემიერ-მინისტრი უ. კ. კეკონენი, ფინეთის თავდაცვის მინისტრი ე. სუგი, მინისტრი რ. სვენტო, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი რ. სეპიალია.

განცხადება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა. საპასუხო განცხადება გააკეთა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა უ. კ. კეკონენმა.

განცხადებათა შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა.

შემდეგი სხდომა გაიმართება 19 სექტემბერს დილით.

განცხადებათა ტექსტები ქვემოთ ქვეყნდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის განცხადება 1955 წლის 17 სექტემბერს

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო!

ბატონებო!

ჩვენ აქ ერთმანეთს შევხვდით იმისათვის, რომ გავუზიაროთ ურთიერთს აზრები საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის მომწიფებულ საკითხებზე და განვიხილოთ ახალი ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას ამ დარგში ომისშემდგომ დროს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

განვლილ ომისშემდგომ 10 წელიწადში საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარებაში მიღწეულია მნიშვნელოვანი და სასიხარულო წარმატებანი. ეს წარმატებანი დამჯერებლად ადასტურებენ, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრული თანამშრომლობა ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენი ხალხების ინტერესებს.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა ამ წლებში ვითარდებოდა ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში — თანასწორუფლებიანობის პრინციპების შესაბამისად. ამ ურთიერთობამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ხალხების მეგობრობის, ურთიერთნდობისა და ფართო თანამშრომლობის ტრადიციებს.

სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა ემყარება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 1948 წლის 6 აპრილს. ამ ხელშეკრულების თანახმად ორივე ქვეყანამ, რომლებიც ხელმძღვანელობენ მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემის, აგრეთვე საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით, გადაწყვიტა იმოქმედონ თანამშრომლობისა და მეგობრობის სულისკვეთებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად. ხელშეკრულებაში ჩვენ დაკადასტურეთ ჩვენი განზრახვა უაღრესად გულწრფელად მივიღოთ მონაწილეობა ყველა ღონისძიებაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, აგრეთვე გავითვალისწინეთ, განსაზღვრული პირობებით, ურთიერთდახმარების გაწევა. ხელშეკრულება ითვალისწინებს აგრეთვე, რომ მხარეები მონაწილეობას არ მიიღებენ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებსა და კავშირებში.

ეს ხელშეკრულება გახდა შემობრუნების პუნქტი ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიაში და უზრუნველყო პირობები ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთნდობის განვითარებისათვის. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება ხელს უწყობს ჩრდილოეთ ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფას.

ჩვენი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა შეხდება ურთიერთსასარგებლო გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებებზე. პირველი ასეთი შეთანხმება დაიდო ამ ხუთი წლის წინათ და წარმატებით სრულდება. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობის მოცულობამ უკვე შარშან 3,5-ჯერ გადააჭარბა 1950 წლის დონეს. ჩვენს შორის უკვე ხელმოწერილია ახალი გრძელვადიანი შეთანხმება 1956-1960 წლებში საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას.

დიდი მნიშვნელობა ექნება, უეჭველია, ამას წინათ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებულ შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გამოცდილების ურთიერთგაცვლას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე მიღწევათა ურთიერთგაცვლას მეცნიერების დარგში.

გაცხოველებული კულტურული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ხორციელდება მრავალი დელეგაციის გაცვლის ფორმით, საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ქალაქებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და სხვ. ხელს უწყობენ ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის ზრდას.

ასეთია ზოგადად ჩვენი ურთიერთობა. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ამ ურთიერთობის საფუძველია საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1948 წლის ხელშეკრულება. ცხოვრებამ ცხადყო, რომ ეს ხელშეკრულება შეესაბამება ჩვენი ხალხების მისწრაფებას — იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით და საკუთარი ამართლებს იმედს, რომელსაც მასზე ამყარებდნენ მისი დადების დროს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ხელშეკრულება კვლავაც შეიძლება იქნეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის მტკიცე საფუძველი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ სასურველად მივიჩნევდით განგვეხილა ხელშეკრულების პერსპექტივები, რაკი მხედველობაში გვაქვს, რომ მისი მოქმედების ვადა მალე გადის. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვსურს ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი, საჭირო ხომ არ არის უკვე ახლა განგრძობილ იქნას მისი მოქმედების ვადა, თუ, რა თქმა უნდა, ფინეთის მხარე მოწონებით ეპყრობა ამას.

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება არა მარტო ჩვენი ხალხების საქმეა, არამედ აგრეთვე მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ურთიერთობა მნიშვნელოვანი წვლილია ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობაში. ეს ურთიერთობა ადასტურებს იმ დებულების სისწორეს, რომ შესაძლებელია სახელმწიფოების — როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების — მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა.

საერთაშორისო ცხოვრების დარგში საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მთავრობანი ამ წლებში ახორციელებდნენ სახელმწიფოებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გულწრფელი კმაყოფილებით აღვნიშნოთ აქ, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ დროს მოხდა საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება. ამას ხელი შეუწყო მთელმა რიგმა ცნობილმა საერთაშორისო ამბებმა, ამავე დროს განსაკუთრებული როლი ამასთან დაკავშირებით შეასრულა ოთხი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა.

ყოველივე ამას არ შეიძლება დამოკიდებულება არ ექნეს იმ საკითხებთან, რომლებიც ჩვენ უნდა განვიხილოთ.

ამ პირობებში საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია, მხედველობაში იღებს რა ფინეთის ინტერესებს, განხილულ იქნას აგრეთვე საკითხი ფინეთის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის ლიკვიდაციის შესახებ.

როგორც ცნობილია, სამხედრო-საზღვაო ბაზა პორკალა-უდი საბჭოთა კავშირს მიეცა იჯარის უფლებებით 50 წლის ვადით 1947 წლის 10 თებერვლის საზავო ხელშეკრულების ძალით. ამ ბაზის შექმნა საბჭოთა კავშირის საზღვრების უშუალო სიახლოეს თავის დროზე ნაკარნახევი იყო ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებით. იღებს რა მხედველობაში ორივე ქვეყანას შორის შექმნილ მეგობრულ ურთიერთობას და მისი შემდგომი განვითარების ხელსაყრელ პერსპექტივებს, საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია ვადამდე თქვას უარი თავის უფლებებზე აღნიშნული ტერიტორიის იჯარის შესახებ, მოახდინოს საბჭოთა-საზღვაო ბაზის ლიკვიდაცია და გაიყვანოს თავისი ჯარები ამ ტერიტორიიდან.

არ შეიძლება ეჭვი შეეიტანოთ იმაში, რომ სხვა სახელმწიფოთა მიერაც სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვების ტერიტორიებზე დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების, სახელმწიფოთა ურთიერთობაში უნდობლობის აღმოფხვრის საქმეში და ხელს შეუწყობდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის საჭირო პირობების შექმნას.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს ფინეთთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან, თავის ურთიერთობაში მშვიდობის, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების, გულწრფელი თანამშრომლობის პოლიტიკას.

საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი თათბირის შედეგები ორივე სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების გზაზე გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება და ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

გთხოვთ, ბატონო პრემიერო, გამოთქვათ თქვენი დამოკიდებულება ჩვენ ნიერ აღძრული საკითხებისადმი და გვაცნობოთ თქვენი სურვილები ჩვენი დელეგაციების თანამშრომლობის პროგრამის შესახებ.

ფინეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ უ. კ. კეკონენის განცხადება 1955 წლის 17 სექტემბერს

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ბატონებო!

ჩვენ დიდი ინტერესით მოვისმინეთ ბატონ პრემიერ-მინისტრის სიტყვა და სიხარულით ვიზიარებთ იმ აზრს, რომელიც თქვენ გამოთქვით თქვენს ამ სიტყვაში. ის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, რასაც თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, 1948 წლის ხელშეკრულებას აკუთვნებთ, აგრეთვე ჩვენი აზრია ამ ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ. სწორედ ეს ხელშეკრულება და მისი სულისკვეთება გახდნენ ფინეთის პოლიტიკისა და ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საფუძველი. ჩვენ გვესმის, რომ ის გაცხოველებული ეკონომიური ურთიერთობა, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ხუთწლიანი შეთანხმებით, ძირითადად ემყარება 1948 წლის ხელშეკრულებას. და მე ვიზიარებ ბატონ პრემიერ-მინისტრის აზრს ჩვენს ქვეყნებს შორის ამ ვაჭრობის განვითარების შესახებ. რამდენადაც 1948 წლის ხელშეკრულების მოქმედების ვადა მალე გადის და საბჭოთა მხარე წინადადებას იძლევა განგრძობილ იქნას ამ ხელშეკრულების ვადა, ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვიღებთ ამ წინადადებას და მზად ვართ დავეთანხმოთ მას.

ის განცხადება, რომელიც თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, გააკეთეთ პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზის შესახებ, ჩვენს გულსა და მთელი ფინელი ხალხის გულს დიდი სიხარულით აღავსებს. არ შეიძლებოდა მოგვეყვანა ორ ქვეყანას შორის კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობის უკეთესი დადასტურება. ვიდრე ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის თანაარსებობის ურთიერთობა, რომელიც შეიძლება მაგალითი გახდეს. ურთიერთობა, რომელმაც გამოიწვია ის შედეგები, რომ საბჭოთა კავშირს შესაძლებლად მიაჩნია ვადამდე უარი თქვას თავის საიჯარო უფლებებზე პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზის მიმართ.

მაშასადამე, მე შემიძლია მხოლოდ დავადასტურო, რომ ჩვენ ვიღებთ ორ წინადადებას, რომლებიც თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენი მხრივ გააკეთეთ. და პრაქტიკულ ღონისძიებათა სახით შემოვიტანდი წინადადებას, რომ დაგვეარსებინა პატარა, ასე ვთქვათ, შერეული კომისია, რომელიც დაწვრილებით განიხილავდა ამ ღონისძიებათა განხორციელების დეტალებს.

იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი საქართველოში

საქართველოში მყოფი იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი განაგრძობს რესპუბლიკის გაცნობას.

გუშინ, 17 სექტემბერს, იაპონიის პარლამენტის დელეგატები ავტომანქანებით გაემგზავრნენ ქალაქ რუსთავში. მათი ყურადღება მიიპყრო ამ ახალგაზრდა ქალაქის ფუნდამენტურმა საცხოვრებელმა სახლებმა, რომლებიც გამოერჩევიან თავიანთი არქიტექტურით, ფართო ქუჩებმა და პროსპექტებმა.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ნ. გ. გომელაურის თანხლებით იაპონელმა პარლამენტარებმა დაათვალიერეს კოქსქიმიური, მარტენის, მილდამამზადებელი საამქროები. ისინი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს „140“ მარკის ავტომატური საგლინავი ჩარხით მთლიანგალინი უნაწიბურო ფოლადის მილების გაგლინვის პროცესს.

საწარმოდან წასვლისას იაპონიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატმა კონდო ნობუკამ აღნიშნა: ქარხანა თავისი მასშტაბით, მოწყობილობით, ისევე როგორც ახალი ქალაქი რუსთავი, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

რუსთავიდან იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრები გორში გაემგზავრნენ. აქ მათ დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, ხოლო შემდეგ იყვნენ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში.

იაპონიის პარლამენტის დელეგატებმა დაათვალიერეს არტელის მეურნეობა, აინტერესებდათ არტელის მუშაობა, სასოფლო - სამეურნეო კულტურები, რომლებიც აქ მოჰყავთ, კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. დ. ინასტასოვმა დელეგაციის წევრებს უამბო, რომ ხიდისთავის კოლმეურნეობის შემოსავალი შარშან შეადგენდა 6.600.000 მანეთს, ხოლო წელს მიაღწევს სულ ცოტა 8 მილიონ მანეთს.

კოლმეურნეობის გამგეობამ სტუმრების პატივსაცემად საუზმე გამართა.

იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფის მეთაურმა მასაარუ ნომიმომ კოლმეურნეებთან გამოთხოვებისას თქვა: გაოცებული ვარ კოლმეურნეობის წარმატებებით.

თბილისში დამრუნებისას იაპონელმა პარლამენტარებმა დაათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა.

17 სექტემბერს საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დელეგაციის წევრთა პატივსაცემად გამართა ვახშამი. მ. დ. ჩუბინიძემ და მასაარუ ნომიმომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ვახშამმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

გზა ქსოვის ოსტატობისაკენ

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პირველად შევდგი ფეხი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. 1949 წელს დავიწყე სწავლა ამ ფაბრიკასთან არსებულ სოფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.

ერთი წლის შემდეგ სკოლა წარმატებით დავამთავრე და მაშინვე უშუალოდ ჩავები წარმოებაში. პირველ ხანებში, ცხადია, ადვილი არ ყოფილა, მუშაობა მიძნელდებოდა, გეგმებს ძლივს ვასრულებდი. ხშირი იყო წუნის შემთხვევები. მაქსოველის პროფესია არც თუ ისე იოლია, რომ მუშაობის დაწყებისთანავე მოიბეზრო თვალსაჩინო წარმატება. მაგრამ თავიდანვე მხარში ამომიდგნენ გამოცდილი ამხანაგები, ოსტატები, წარმოების ნოვატორები. მაწინავე მეთოდების შესწავლა დამეხმარა შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

დიდ წარმატებას მივაღწიე მიმდინარე წლის თებერვალში, როცა საწარმოო დაგეგმა 125,9 პროცენტით შეეასრულე, ხოლო პირველი ხარისხის პროდუქციის

მარიამ გვრიტიშვილი

* * *

გამოშვებისა — 83,8 პროცენტით, გათვალისწინებული 70 პროცენტის ნაცვლად. ამ თვეში სხვა სიხარულიც მომიტანა — პირადი ხუთწლედი 4 წელიწადზე და ერთ თვეში გავანადგე. უკვე ამ დროისათვის ხუთწლედის გადამეტებით 354 მეტრი ქსოვილი მქონდა გამოშვებული.

ამჟამად ვმუშაობ მეექვსე ხუთწლედის ანგარიშში. მიმდინარე წლის შვიდ თვეში მოვქსოვე და სახელმწიფოს ჩავაბარე 8.532 მეტრით მეტი ქსოვილი. ვიდრე ჩემი ხუთწლედი იყო გათვალისწინებული. სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებისათვის მომანიჭეს მოწინავე მქსოველის სახელი, ჩემი ტვირი შეტანილია ფაბრიკის „სპატიო წიგნში“.

კარგა ხანია ვემსახურები სამ საქსოვ დაზგას. გამომუშავებული მაქვს ასეთი წესრიგი: მუშაობის დაწყებამდე მანქანებს ვასუფთავებ, ვამოწმებ ყველა ნაწილს, განსაკუთრებით მოძრავ ნაწილებს — მუშა ბრრბალს და ქსოვის რეგულატორს. შემოწმების მიზანია ძაფი არ იყოს ჩახვეული მოძრავ ნაწილებში. წინასწარ შედებული ზომებით თავიდან აცილებულია მანქანების გაჩერება, მოულოდნელი რემონტი. მაშინ როცა საქსოვ დანადგარს ჩვეულებრივად 5-6 თვეში ერთხელ მაინც სჭირდება ტექნიკური შემოწმება ან მიმდინარე შეკეთება, იმ სამი საქსოვი მანქანიდან, რომელთაც მე ვუწევ მოსახურებას, წელს მხოლოდ ერთს დასჭირდა შეკეთება.

შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის მთავარია მაქოს შემოწმება, მოშვებული ან გაფხაჭნილი არ უნდა იყოს მისი კონცხი. მოშვების შემთხვევაში იგი ამოვარდება და მთელ ქსელს გაიტანს ან დგომსავარცხელს დაზიანებს. ეს კი გამოიწვევს დაზგის გაჩერებას რამდენიმე საათით.

მანქანების სისტემატური, ყოველდღიური გულდასმითი შემოწმება საშუალებას მაძლევს უკეთესად წარვმართო საწარმოო პროცესები, ვიმუშავო შეუფერხებლად, გაუცდენლად.

ცვლაში მუშაობის დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე ვცხადდები საამქროში. ამ დროში ვიმარაგებ იმდენ მისაქსელის ძაფს, რამდენიც შესვენებამდე მეყოფა. შესვენებისას, ვიდრე ვისადილებ, კიდევ ვიმარაგებ ძაფს, ეს მყოფნის საშუშაოს დამთავრებამდე. ამით დღეში 10-15 წუთით მაინც წინ ვარ.

საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის მოწინავე მეთოდების შესწავლას და დანერგვას. წინათ ჩაწყვეტილი ძაფის გადასაბმელად დაზგას ვიჩერებდი 2-3 წუთით, დღეში გვარგვდი სულ ცოტა 15-20 წუთს. კოვალიოვის მეთოდის შესწავლისა და ტაცნობის შემდეგ ძაფის გადაბმას ვახდენ დაზგის გაუჩერებლად. დროის ამ ეკონომიის მიღწევით ახლა ყოველ თვეში ვახერხებ სულ ცოტა 90-100 მეტრი ქსოვილის გამოშვებას გეგმის გადამეტებით.

საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ ამჟამად დაყენებულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — ეებრძოლოთ არა მარტო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, არამედ ამასთან ხარისხის მკვეთრად ამაღლებისთვისაც. პროდუქციის ხარისხის ამაღლება უშუალოდ დამოკიდებულია მქსოველის ბეჯით, დაკვირვებულ მუშაობაზე. პირველხარისხოვანი ქსოვილის გამოშვების უზრუნველყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ქსელის სამუხრუჭე ნაწილების რეგულაციას, ძაფის წყვეტის თავიდან ასაცილებლად თვალყურს ვადევნებ ქსელვას, სისტემატურად ვამოწმებ მაქოს და დგომ-სავარცხლის გამართულობას.

ჩვენი მიღწევები გაცილებით მეტი აქნებოდა, ნედლეულს და დამხმარე მასალებს ნორმალურად, რიტმულად, რომ ვიღებდეთ. ხშირად მუშაობაში ხელს გვიშლის ქსელის და მისაქსელის, აგრეთვე მაქოების, მარბენალას და სხვა მასალების დაბალი ხარისხი. ფაბრიკის ადმინისტრაციამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

მთელი ფაბრიკის კოლექტივი აღფრთოვანებით ჩაება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მე ვიკისრე წლიური დავალება შევასრულო 125 პროცენტით, გამოვუშვა 2 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის ქსოვილი. ამჟამად გამოშუშავების დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ვანადგებ. იმედი მაქვს გავიმარჯვებ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მ. გვრიტიშვილი.

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველი.

კაჭრეთისა და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებმა წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 სექტემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 705 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 კილოგრამისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებამდე თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველონ 50 კილოგრამი რძე.

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა 15 სექტემბრისათვის წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 705 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 კილოგრამისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲨᲘ

ᲰᲘᲓᲠᲝᲒᲐᲓᲐᲛᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲐᲯᲝ ᲩᲐᲠᲮᲖᲔ

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში დაამზადეს პირველი ეგზემპლარი ჰიდროგადამღები სუპორტისა სახარატო ჩარხ 1 ან 2-სათვის, რომელსაც უშვებს მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარი“. ახალი სუპორტის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ჩარხის აღჭურვამ ჰიდროგადამღები სუპორტით მკვეთრად აამაღლა მისი საექსპლოატაციო თვისებები. ახლა დეტალის დამუშავებაზე გაცილებით ნაკლები დამხმარე დრო იხარჯება, ვიდრე წინათ. იმის მიხედვით, თუ როგორია დეტალის კონფიგურაცია, მის დამზადებაზე დამხმარე დრო შემცირდა 2-4-ჯერ.

ამხ. ნ. ა. ბულგანინი ამ მაღალი წარმადობის მოწყობილობას შეეხო თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე. თბილისელი ჩარხმშენებლები პირნათლად ასორციელებენ პარტიისა და მთავრობის მითითებას. კიროველებმა დაამთავრეს პირველი ჰიდროგადამღები სუპორტი და შეუდგნენ კიდევ 10 ასეთი სამარჯვის დამზადებას. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობს ქარხნის უფროსი კონსტრუქტორი ვ. ბობრო.

სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და სათანადო მრეწველობის სამინისტროს დავალებით ქარხანამ წლის ბოლომდე უნდა გამოუშვას 190 ჰიდროგადამღები სუპორტი, რომლებსაც დააყენებენ ჩვენი ქვეყნის ლითონდასამუშავებელ საწარმოთა სახარატო ჩარხებზე. თუ გავითვალისწინებთ თვითეული ჰიდროგადამღები სუპორტის მუშაობით გამოწვეულ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ლითონდასამუშავებელ საწარმოში დადგმული სახარატო ჩარხების სიმრავლეს, ნათელი გახდება ახალი სრულყოფილი მოწყობილობის დანერგვის მნიშვნელობა, მისი ეკონომიური ეფექტი.

რაში მდგომარეობს კიროველთა მიერ ათვისებული სიახლის არსი?

სახარატო ჩარხებზე მუშაობისას დამხმარე დროის ხვედრითი წონა მეტად გადიდდა და დამუშავების საერთო დროის 50-60 პროცენტს შეადგენს, რაც უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ ყველგან ფართოდ დაინერგა ლითონის ჩქაროსნული ჭრით დამუშავების მეთოდი. სახარატო ჩარხებით ნაწილების დამუშავებისას დამხმარე დრო შედგება არა მარტო ნამზადის დამაგრებისა და გაჩარხული დეტალის მოხსნისათვის საჭირო დროისაგან, არამედ ძირითადად დეტალის გაჩარხული ადგილების გაზომვის, საჭრისის საჭირო ზომაზე დაყენებისა და სუპორტის განივი და გრძივი მიმართულებით მიყვანისა და უკან დაბრუნებისათვის დახარჯული დროისაგან. მანქანათმშენებლობაში ფართოდ გავრცელებული ასეთი დეტალის დამუშავებისას კი, როგორც არის მრავალსათხურიანი ლილვი, ეს დრო განსაკუთრებით დიდია. არსებული ავტომატური და ნახევრადავტომატური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია დამხმარე დროის შესამცირებლად, არასაიმედო, უხერხული მოსახმარია, აკლია სიზუსტე. ამიტომ არის, რომ მას ფართოდ არ იყენებენ. გარდა ამისა, როდესაც დეტალების მთელ პარტიას ამზადებენ საჭირო ხდება ხელის ყველა ამ დამხმარე ოპერაციის გამეორება თვითეული შემდგომი დეტალის გამოჩარხვისას. დამხმარე დროის შემცირების მეთოდებიდან ყველაზე უფრო ქმედითი აღმოჩნდა ჰიდრავლიკური გადამღები სუპორტის დახმარებით გადაღების მეთოდი.

ჰიდროგადამღებ სამარჯვეში, რომელიც მოწყობილია ჩარხზე, აყენებენ შაბლონს ან წესიერად დამზადებულ პირველ დეტალს, რომელიც აგრეთვე წარმატებით შეიძლება შაბლონად გამოვიყენოთ. ახლა საკმარისია ხარატმა ჩართოს ჩარხი, თვალყური ადევნოს მის მუშაობას და გააჩეროს მანქანა მაშინ, როცა დეტალი მზად იქნება. დამუშავების მთელი პროცესი ავტომატურად ხდება. გადასაღები მოწყობილობის დახმარებით, მუშის ჩაურევლად, დასამზადებელი ნაწილი იმ კონფიგურაციას მიიღებს, როგორიც აქვს შაბლონს. ამ გზით შეიძლება გაკეთდეს მანქანათმშენებლობაში გამოსაყენებელი მრავალი დეტალი. შრომის ნაყოფიერების ერთიორად და უფრო მეტად გადიდება განსაკუთრებით საგრძნობია მრავალსაფეხურიანი ლილვებისა და სხვა რთული, ფასონური კონფიგურაციის ნაწილების დამზადების დროს.

გადამღებ მოწყობილობას მთელი რიგი უპირატესობანი აქვს. ერთი ნაწარმიდან მეორეზე გადასასვლელად ხელახალ გაწყობას მცირე დრო სჭირდება. სამარჯვე იძლევა ჭრის უფრო მაღალ რეჟიმზე გადასვლის საშუალებას, რადგანაც მიწოდების ხელით გამორთვის ჩვეულებრივი მეთოდით მუშაობის დროს მაღალი სიჩქარისა და მიწოდების გამოყენებისას ძნელია უზრუნველყო დეტალის სწორი ხაზოვანი ზომების მიღება.

დამზადებული პირველი დეტალის ეტალონად გამოყენების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა გადამღები მოწყობილობა გამოყენებულ იქნას როგორც დიდსერიულ, ისე მცირესერიულ წარმოებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჰიდროგადამღებიანი ჩარხი ინარჩუნებს ჩვეულებრივი სახარატო ჩარხის ყველა შესაძლებლობას და საჭირო არ არის მისი ხელმეორედ გადაწყობა. ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც გადამღები არ სჭირდება, საკმარისია სუპორტისათვის საწყისი მდგომარეობის დაბრუნება. მისი მოხსნა არ არის საჭირო, რა სახის სამუშაოც უნდა სრულდებოდეს.

ჰიდროგადამღები სამარჯვის კონსტრუქცია და დამზადება რთული არ არის, ხოლო მისი დამაგრება არ ადიდებს ჩარხის გაბარიტებს. ყველა ამ უპირატესობამ ცხოვრების საგზური მისცა მაღალ წარმადობის ახალ, სრულყოფილ მოწყობილობას, რომელიც ამცირებს სამუშაოს შრომატევადობას და ამსუბუქებს ხარატის შრომას.

დ. ᲑᲠᲔᲘᲜᲘ,

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ინჟინერი.

დიდი მხატვარი-ლირიკოსი

ქალაქ მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებს შორის ამას წინათ აღმოჩნდა ქართული მხატვრობის შედევრი. ეს არის ფართო საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცნობი მხატვრის ივანე (ჩითაძე) გიორგის-ძე გუგუნავას მიერ დახატული თავისი დის სალომეს პორტრეტი. ამის შემდეგ, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დახმარებით, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა დოცენტმა ო. ფირალიშვილმა თითქმის მთლიანად აღადგინა ამ მივიწყებული მხატვრის შემოქმედებითი ცხოვრება, რითაც ქართული კულტურის ისტორიას ერთი შეტად საინტერესო ფურცელი შეემატა. დადგენილ იქნა, რომ ივანე გუგუნავა ყოფილა დიდი მხატვარი-ლირიკოსი, მას თვალსაჩინო როლი შეუსრულებია რუსული და ქართული კულტურის ურთიერთობის საქმეში.

ივანე გუგუნავა დაიბადა 1860 წელს. მხატვარმა ბავშვობის წლები გაატარა გურიაში სოფელ ძიმითში (ახლანდელი მახარაძის რაიონი). ჭაბუკობაში იგი დედამ — სოფიო ნიკოლოზის ასულმა ანდრეევსკაიამ მოსკოვში წაიყვანა. ივანემ იქ კარგი განათლება მიიღო: დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი და პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, რის შემდეგ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატ მხატვართა მიმდინარეობას — „პერედვიჟნიკობას“ შეუერთდა. 1899-1901 წლებში ივანე გუგუნავა ცოლ-შვილით საქართველოში ცხოვრობდა. დანარჩენი დრო კი სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1919 წლის ზამთარში) მოსკოვში გაატარა.

მხატვარი საქართველოში ზაფხულობით ჩამოდიოდა, ჰქმნიდა საქართველოს ბუნებისა და ქართველი ხალხის ცხოვრების ამსახველ სურათებს და ისინი რუსეთში დახატულ სურათებთან ერთად პეტერბურგისა და მოსკოვის სხვადასხვა გამოფენებზე გამოჰქონდა. ასეთებია მისი სურათები „სალომეს პორტრეტი“, „ჩონგურის დამკვრელი ქართველი ქალი“, „მდინარე სუფსაზე“, „მთების მწვერვალები“, „გაზაფხული“, „წყალდიდობა გურიაში“, „რთველი“, „შემოღამება“ და სხვა მრავალი. ყველა მათგანს დიდი ოსტატობა, პოეტური განცდა და მაღალი მხატვრული კულტურა ახასიათებს. სულ ი. გუგუნავას სხვადასხვა დროს გამოფენილ ნაწარმოებთა რიცხვი 100 ცალს აღემატება. მათგან უმეტესობა პეიზაჟებია, ამრიგად, ახალ ქართულ ხელოვნებაში ივანე გუგუნავა პირველი დიდი ქართველი პეიზაჟისტია და საერთოდ თავისი ნიჭიერი, მრავალმხრივი, მაღალოსტატური ხელოვნებით ქართული მხატვრული კულტურის ისტორიაში საპატიო ადგილს იკავებს.

ივანე გუგუნავას ნაწარმოებებიდან ნაწილი გაფანტულია გურიის სოფლებში, დიდი ნაწილი კი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია. სასურველია, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ხელოვნების მუზეუმმა და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა ითაონ ესოდენ საყურადღებო მხატვრის ნაწარმოებთა შეგროვება.

მხატვრის დის სალომეს პორტრეტი.

* * *



მხატვარი ი. გუგუნავა. გურული ოდა.

Ი. ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ სომხურ ენაზე გამოსცა ი. ნონეშვილის ლექსების კრებული, მიძღვნილი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობისადმი. ლექსები სომხურ ენაზე თარგმნა პოეტმა ჰამო საჰიანმა, წიგნის რედაქტორია მწერალი სოლომონ ტარონცი.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲦᲘᲕᲔᲠᲐᲖᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲮᲠᲘᲡᲢᲝ ᲑᲝᲢᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲖᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

თერთმეტი წლის წინათ ბულგარელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დახმარებით დაამსხვრია ექსპლოატატორთა მძიმე უღელი, რომელსაც, ხრისტო ბოტევის შესანიშნავი გამოთქმით „ტანჯავენ ნაცვლად ბებუთები ჰქონდა გაყრილი“.

ყოველდღიურად იზრდება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობა და მეგობრობა. თავისუფალი ბულგარეთის ალმი ამაყად ფრიალებს მშვიდობის დამცველთა ბანაკში.

ბულგარეთს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. მუდამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბულგარელი ხალხის ისტორია თავისი ავბედობით ერთგვარად საქართველოს წარსულს მოგვაგონებს. XI საუკუნეში (1019 წ.) ბულგარეთი ბიზანტიამ დაიპყრო, ხოლო XIV საუკუნის მიწურულში — თურქეთმა. თურქი ასკერები ბღალავდნენ და აბუჩად იგდებდნენ ხალხის რწმენას, ზნე-ჩვეულებებს და ეროვნულ თავისებურებებს.

თურქეთის ხუთასწლიანი დესპოტური რეჟიმის პერიოდში ბულგარეთში იზრდებოდა და ვაჟაცდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ყურადღების ცენტრში მთელი სიმწვავით დგებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. ბულგარეთის ხალხის სასიცოცხლო ინტერესების — თავისუფლებისათვის ბრძოლის პოეტური მატიანეა ხრისტო ბოტევისა და ივანე ვაზოვის შემოქმედება, რომელთა პოეტურ მემკვიდრეობას შედარებით მთლიანი სახით მხოლოდ ახლა გაეცნო ქართველი მკითხველი. ხრისტო ბოტევისა და ივანე ვაზოვის ლექსების კრებული, ჩვენი მოწინავე პოეტების ირაკლი აბაშიძისა და გრიგოლ აბაშიძის მიერ თარგმნილი, ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“.

ხრისტო ბოტევი ბულგარული ლიტერატურის დიდი კლასიკოსია, ლექსის ბრწყინვალე ოსტატი. მისი შემოქმედება სამშობლოს უანგარო სიყვარულით არის აღბეჭდილი. ცნობილი ბულგარელი მეცნიერი აკად. ტოდორ პავლოვი 1939 წელს წერდა: „უცხოეთში არაერთხელ დაუსვამთ კითხვა: „თქვენ, ბულგარელებო, გაგიგთ თუ არა გენიალური პოეტი? ამ კითხვაზე შეიძლება უყოყმანოდ გაიცეს პასუხი: ნიჭიერნი და დიდად ნიჭიერნიც ბევრი, ხოლო გენიალური ერთადერთი — ხრისტო ბოტევი“.

ხრისტო ბოტევი დაიბადა 1848 წელს ქალაქ კალოფერში, პედაგოგის ოჯახში. განათლება რუსეთში მიიღო. გატაცებით კითხულობდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს, განსაკუთრებით მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა ნ. ჩერნიშევსკიმ.

70-იან წლებში ხრისტო ბოტევი მთელი ენერგიით ებრძვა რევოლუციურ მოძრაობაში, ხდება ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური. იგი აქტიურად თანამშრომლობს რევოლუციურ პრესაში, წერს პუბლიცისტურ წერილებსა და მგზნებარე ლექსებს, რომლებშიც აღწერს თურქული რეჟიმით დატანჯული მშობლიური ხალხის აუტანელ მდგომარეობას და მოუწოდებს მას თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

„რომ ბედნიერი ის არის მხოლოდ,
ვინც ტანჯველს უხდის სამაგიეროს,
კეთილს მიუგებს გულით კეთილით,
მტერს დანას ჩასცემს ღვარძლიან გულში,
მე ეს სიმღერა ვიმღერო მინდა“.
(„ჰაიდუკები“—თარგმნა ირ. აბაშიძისა).

ხრისტო ბოტევისათვის პოეზია, ისევე როგორც პუბლიცისტიკა, ბრძოლის ბასრი იარაღია. მან სულ რამდენიმე ათეული ლექსით მოიხიბა ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსის სახელი. როგორც ბულგარული ლიტერატურის ისტორიკოსი გ. ცანევი შენიშნავს, „ბრძოლა მისი პოეზიის მთავარი მოტივია, თავისუფლება — მთავარი მისწრაფება“. თვით სატრფიალო ლირიკაშიც კი იგრძნობა ბრძოლის დაუცხრომელი სურვილი. ლექსში „გამოსალმება“ პოეტი წერს:

„იქნება მოვკვდე ცხარე ბრძოლაში,
მაგრამ მე ჯილდოდ ისიც მეყოფა,
რომ ჩემზე იტყვის ოდესმე ხალხი:
„გმირულად მოკვდა, თავი შესწირა
სიძართლესა და თავისუფლებას“.
(თარგმანი გრ. აბაშიძისა).

ასრულდა კიდეც პოეტის ეს წინასწარმეტყველური ნათქვამი. 28 წლის ხრისტო ბოტევი 1876 წელს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა თურქი მოძალადეების ტყვიით განგმირული.

ბულგარული მწერლობის ისტორიაში უაღრესად სპატიო ადგილი უჭირავს მეორე დიდ მწერალს — ივანე ვაზოვს. ვაზოვი ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა მშობლიურ ქვეყანას მხატვრული სიტყვით და საქმით.

ივანე ვაზოვი ახალგაზრდობიდანვე ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან შექმნა მთელი რიგი პატრიოტული ლექსები, რომლებშიც უმღერის სამშობლოს გათავისუფლების იდეას და მოუწოდებს მშობლიურ ხალხს შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

ვაზოვი მშვენივრად გრძნობდა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი არ იყურნენ დაინტერესებულნი ბულგარეთის განთავისუფლებით. პირიქით, ისინი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოტყუებასაც კი ცდილობდნენ. ამის გამო ვაზოვმა მტკიცე პროტესტი განაცხადა ლექსებში — „ევროპას“, „დიზრაელი“ და სხვ.

„ღმერთო! რას ვხედავ! დღეს ევროპა
ტირანთან არის,
ის იცავს მტარვალს, ლოკავს, როგორც
მხეცს ერმეცა,
მის ვაჭრულ სულში ბოროტება ღვივის
საზარი,
მას სიცილსა ჰგვრის ჩვენი ცრემლი,
ჩვენი წამება“.
(„ევროპას“. თარგმანი ირ. აბაშიძისა).

ვაზოვისათვის დღეზე უფრო ნათელი იყო, რომ მხოლოდ რუსული „ურა“ შეარყევდა და წერტილს დაუსვამდა თურქების ბატონობას. ლექსები: „რუსეთი“, „ძმებო, თქვენი გამარჯვება“, „განთავისუფლება“ და სხვ. შესანიშნავად გადმოგვცემენ პოეტის ამ მისწრაფებას.

1886 წლიდან 1889 წლამდე ვაზოვი რუსეთშია და ინტენსიურად მუშაობს თავის რომანზე „დამონებულნი“, რომელიც ბულგარეთის 1876 წლის ცნობილ აჯანყებას ეხება. რომანი თარგმნილია მრავალ ენაზე და მათ შორის ქართულზეც (თარგმნა თ. სახოკიამ). ივანე ვაზოვის კალამს ეკუთვნის 19 პიესა და მრავალი სტატია.

სარეცენზიო წიგნის გამოსვლა, რომელიც პირველი ცდაა ბულგარეთის ამ ორი უდიდესი პოეტის ქართულად თარგმნისა, უთუოდ მისასალმებელია. პოეტები ირაკლი აბაშიძე და გრიგოლ აბაშიძე პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან ბულგარეთის დიდი კლასიკოსების ხრისტო ბოტევისა და ივანე ვაზოვის რჩეული ლექსების ქართულად თარგმნას. ლექსების დიდი უმრავლესობა თარგმნილია თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის დონის შესაბამისად და მკითხველთა საერთო მოწონებას იმსახურებს.

კრებულს თან ახლავს ზოგიერთი უმნიშვნელო ნაკლიც.

ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვასილი ლევსკი თურქებმა 1673 წელს კი არ ჩამოახრჩეს, როგორც ეს წიგნის 21-ე გვერდის სქოლიოშია განმარტებული, არამედ 1873 წელს. დიზრაელი ინგლისის პრემიერ-მინისტრად 1868 წელს კი არ იყო (გვ. 94), არამედ 1874-1880 წლებში. ხრისტო ბოტევი 1849 წელს კი არ დაიბადა, არამედ 1848 წელს და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, პოეტებმა ირ. აბაშიძემ და გრ. აბაშიძემ ამ წიგნით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში, ხოლო გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ სასარგებლო საქმე გაკეთა აღნიშნული კრებულის გამოცემით.

ლ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲛᲘᲮ. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲘᲐ.

„ᲒᲚᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ“

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

პროზაული შედევრების ინსცენირება ადვილი როდია. რა დიდი ოსტატიც უნდა იყოს გადამკეთებელი, მეტად ძნელია ინსცენირება ორიგინალს გაუტოლოს. შეუძლებელია რომანის ან მოთხრობის პიესად ისე გადაკეთება, რომ მან თავისი სურნელება, მიმზიდველი ძალა ნაწილობრივ მაინც არ დაკარგოს.

ვის არ ხიბლავს და არ იზიდავს ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“. ვის არ ატაცებს ეს მოთხრობა თავისი აღნაგობით, სოციალური არსით. ეს ხომ ბატონყმობის სამარცხვინო ინსტიტუტის ძალური სამრალდებო განაჩენია, ეს ხომ სიყვარულის ხოტბაა, ბრძოლის ჰიმნი და თავისუფლებისადმი ტრფიალია. „გლახის ნაამბობის“ მიმზიდველი ძალა ამით უფრო ორკეცდება, რომ ის დრამატიზმით არის აღსავსე, ენა მდიდარია, სახეები მკვეთრად გამოძერწილი. ყოველივე ეს დრამატურგთა დაინტერესებას იწვევს, რომლებიც ცდილობენ სცენაზე გადაიტანონ ეს შედევრი, გმირებს სული შთაბერონ, ხორცი შეასხან. მაგრამ ინსცენირებისას აუცილებელია ერთგვარი ოპერაცია ტექსტზე, — ზოგან შეკვეცა და ზევრ ადგილას დამატება სცენიურ ჩარჩოებში მოთავსებისას. აქ დრამატურგებს მართებდათ გამსჭვალულიყვნენ კლასიკოსის მისწრაფებით, შეეთვისებინათ ილიას მიზანდასახულობა, წერის მანერა და ყოველივე ის, რითაც ვიხიბლებით ყველანი. ინსცენირების ავტორები დრამატურგები გ. ნაუცრიშვილი და დ. ცხაკაია პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან ილიას ტექსტს და თუ ალაგ-ალაგ თავიანთიც შეუტანიათ, ისე ფრთხილად და ფაქიზად, რომ ჩამატებული ადგილები უმეტეს მოთხრობაში ყურს არ ეხამუშება. სამწუხაროდ, დრამატურგებს არჩეული ფორი გზა ბოლომდე ვერ დაუცავთ. ალბათ, რა საჭირო იყო ილიას მიერ მოცემული პერსონაჟის სახის შეცვლა, კლასიკოსის ახლებურად წარმოდგენა მის რეჟისორ არ უნდა გადაეაქციოთ და ამით პიესას შემეცნებითი მნიშვნელობის ძალა არ უნდა დავუკარგოთ.

ილიას ეპიპა სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის შესრულებით. როცა უყურებთ აკაკი ვასაძის ეპიპას, გაგონდებათ ილიას წერილი ვასო აბაშიძისადმი: „უკეთესნი წუთნი ჩვენს ქართულ თეატრში ჩვენს მიერ გატარებულნი ისე არ წარმოგვიდგება, რომ თქვენს მიერ შექმნილნი ტიპნიც თვალწინ არ გამოგვესახნენ. ამით თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჭეშმარიტი არტისტი იგივე შემოქმედია, როგორც სხვა ჭეშმარიტი ხელოვანი“ (გაზ. „ივერია“ 1887 წ., № 89). იხსენებთ რა ამ წერილს, გინდათ შეიტყოთ ჭეშმარიტი არტისტის შემოქმედების საიდუმლოება. სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს თქმით, მსახიობები ორ ხანაკად იყოფიან — მსახიობები „შემოქმედნი“ და მსახიობები „მოთამაშენი“. აკაკი ვასაძის ეპიპა შემოქმედების ნაყოფია. ამიტომ არის ასე დამაჯერებელი, ასე ბუნებრივი, ასე მომხიბვლელი. როცა ეპიპა გამოდის სცენაზე და პირველსავე ფრაზას წარმოთქვამს, გავიწყდებათ, რომ თეატრში ხართ, გავიწყდებათ, რომ მსახიობს უყურებთ. არა, თქვენ უშუალო მონაწილე ხდებით იმ ტრაგედიისა, რასაც განიცდის ეპიპა, ალალმართალი მოხუცი გლეხი, მოსიყვარულე მამა, უკეთესმართობის მსხვერპლი.

როდესაც მსახიობი სრულ გარდასახვას ახდენს, როდესაც იგი მოქმედი პირის ორეული ხდება, როდესაც სცენაზე შემოსვლიდან კი არ იწყებს თამაშს, არამედ მთელი დღეების განცდილს გადმოგცემთ, აქ უკვე ჭეშმარიტი შემოქმედებაა. უყურებთ ეპიპას, და გახარებთ ქართველი აქტიორის ბრწყინვალე გამარჯვება.

უდავოდ სწორად არის გაზრდილი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. კიკნაძის მიერ გაბროს სახე. საზოგადოდ ძველი თეატრიდან არასწორად დაკანონებული ერთი ტრადიცია დღევანდლამდე შერჩა ზოგიერთ მსახიობს. ეს არის იმ კუთხის მოსახლეობის კილოთი ლაპარაკი, რომელსაც განასახიერებენ. აქ ხდება გადაჭარბება, რაც პერსონაჟთა მხატვრულ სახეს ვნებს. ამ მხრივ კიკნაძის მეტყველება მოსაწონია. თუ ზოგიერთი მსახიობის თამაშში ხარვეზს ამჩნევთ, ეს აიხსნება სწორედ ზედმეტი „თამაშით“, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. სრული გამარჯვება მაშინ არის, როცა მსახიობი მზამზარეულ სახეს, თუნდაც სწორად გააზრებულს, კი არ თამაშობს, არამედ სრულ გარდასახვას ახდენს. ყველა მონაცემი აქვს კიკნაძეს ამას მიაღწიოს, და მაშინ მისი გაბრო უფრო მიმზიდველი იქნება.

სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. დოლიძე დათიკოს როლში მის მიერ წინათ შექმნილ ერემია წარბას სახეს იმეორებს და ამით შთაბეჭდილებას ანელებს. მართალია, დათიკო წარბას ერთგვარად მოგვაგონებს, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ხასიათებით, მანერებით და სხვ. ეს განმასხვავებელი ელემენტი ნაკლებად ჩანს. ვერც დათიკოს ჩაცმულობაა მოსაწონი. იგი მაშინდელი ეპოქის შესატყვისი არ არის და სტილიზებულია. მოქმედება ბატონყმობის დროს ხდება, ამიტომ მხატვარს და რეჟისორს ზუსტად უნდა დაეცვათ ამ პერიოდის ჩაცმულობა.

სცენა სპექტაკლ „გლახის ნაამბობიდან“. ეპიპა — ა. ვასაძე (მარცხნივ), გაბრიელი—გ. კიკნაძე.

თამროს როლის შემსრულებელ მსახიობ ელ. საყვარელიძეს სწორად აქვს გააზრებული სახე, თუმცა აკლია ის უშუალობა, რითაც უხვად არის დაჯილდოებული ეს პერსონაჟი.

მეტად კოლორიტული და ბუნებრივია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის დ. ხუციშვილის დათო. მსახიობმა შეძლო ეს ეპიზოდური როლი წინა პლანზე წამოიწია და დასამახსოვრებელი სახე შეექმნა. მოსაწონია მისი მეტყველებაც.

გადაგვარებული, მლიქვნელი, წუწკი გიტოს სახეს კარგად განასახიერებს მსახიობი თ. ტატიშვილი.

უშუალო და ბუნებრივია გლახუკას როლში მსახიობი კ. საკანდელიძე.

სიცოცხლე და სიხარული შეჰქონდა ბატარა ეპიზოდურ როლში რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ივ. ჯავახიშვილს. სიმართლით განასახიერებს ამავე როლს დუბლიორი რ. ჩხეიძეც.

აღსანიშნავი არიან მსახიობი ს. ისნელი (ფირუზ-აღა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. სარჩიმელიძე (ვაჭარი), დ. გაგუა (დოხრონინი).

სპექტაკლის მხატვრობა დეკორაციული ხელოვნების გამოცდილ ოსტატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპიაშვილს ეკუთვნის. ეს ოსტატობა ნათლად ჩანს გაფორმებაში. ფერების შეხამება, სინათლის გამოყენება მაღალ პროფესიონალურ დონეზეა. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ეპიპას ეზო-ყურეს გაფორმება. ასევე სხვა დანარჩენი სცენებიც. მხოლოდ პირველი მოქმედების გაფორმებაში სადავოდ მიგვაჩნია მოსწავლე დათიკოს ადგილსამყოფელი. ბატონიშვილი თავისი შინაყმით ქალაქში ასეთ სახლში არ დაბინავდებოდა.

მიუხედავად დიდი მოწონებისა, რეჟისურას მართებს ერთხელ კიდევ გადახედოს თავის ნამუშევარს, ხარვეზები დახვეწოს, ჩამატებული სცენები შეანელოს და ამით ილია ჭავჭავაძის კლასიკური ნაწარმოების „გლახის ნაამბობის“ შესაფერი სპექტაკლი უჩვენოს გემოვნებაგანვითარებულ ჩვენს მაყურებელს.

Ა. ᲑᲣᲠᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ორივე გერმანული სახელმწიფოს თანამშრომლობისათვის

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). აღნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

გერმანიის კომუნისტური პარტია, ისევე როგორც დასავლეთ გერმანიის ყველა მშრომელი, ნათქვამია განცხადებაში, მიესალმება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას სსრ კავშირსა და დასავლეთ გერმანიას შორის და ეს მიიჩნია დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე და წვლილად გერმანიის გაერთიანების საქმეში.

მოსკოვის თათბირის შედეგები მშვიდობის ძალების და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკისა და ფედერალური რესპუბლიკის იმ ადამიანთა წარმატებაა, რომლებიც მზად არიან შეთანხმებისათვის.

მოლაპარაკებამ, ნათქვამია გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადებაში, ცხადყო, რომ არასოდეს არ განხორციელდება ბონის მთავრობის განზრახვა — შეიყვანოს მთელი გერმანია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში. მშვიდობიანი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ორივე გერმანული სახელმწიფოს თანამშრომლობის დამყარების გზით.

ნიუ-იორკში ჩავიდნენ უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-10 სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ დელეგაცია უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრ ლ. პალამარჩუკის მეთაურობით და ბელორუსიის სსრ დელეგაცია ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის კ. კისელიოვის მეთაურობით.

უკრაინისა და ბელორუსიის სსრ დელეგაციებს აეროდრომზე შეხვდა საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი.

საბჭოთა კავშირის საბინაო მშენებლობის მუშაკთა დელეგაცია მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). 15 სექტემბერს სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინმა ამერიკის საცხოვრებელი სახლების მშენებელთა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარეს ერლ სმიტს აცნობა, რომ სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო ასოციაციის წინადადება გაგზავნოს საბჭოთა კავშირის საბინაო მშენებლობის მუშაკთა ჯგუფი შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის ოქტომბერში, რათა იგი გაეცნოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და შეისწავლოს მშენებლობის ტექნიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუს განცხადება

დელი, 16 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმს ოვნინგ ნიუსი“ იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს სახალხო პალატაში განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა წინააღმდეგია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვისა.

ნერუმ აღნიშნა, რომ ინდოეთი დაინტერესებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არა მარტო ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების, არამედ აგრეთვე ყველა იმ ქვეყნის მიღებით, რომლებიც აკმაყოფილებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს.

საბერძნეთის პარლამენტის დეკუზგზის შეკითხვა

ათენი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთები „ვიმა“ და „კატიმერინი“ იუწყებიან, რომ პარლამენტის დეპუტატმა რატისმა (ქალაქ ლარისიდან) პარლამენტის პრეზიდიუმში შეიტანა შემდეგი შეკითხვა: „მე ვეკითხები მთავრობას და პარლამენტის თავმჯდომარეს, რატომ არ გასცეს პასუხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას, რომელმაც საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატები მიიწვიეს საბჭოთა რუსეთში? რატომ არ არის პასუხი მას შემდეგაც კი, რაც სხვა ქვეყნების პარლამენტების დელეგაციები და ზოგიერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელები უკვე იყვნენ ან აპირებენ წასვლას სსრ კავშირში? მე ვეკითხები პარლამენტის თავმჯდომარეს, მიაჩნია თუ არა მიზანშეწონილად, რომ საბერძნეთის პარლამენტის დელეგაცია რუსეთში გამგზავრებისას გზად შეჩერდეს ბელგრადში და აწარმოოს აზრთა გაცვლა ორივე ქვეყნას შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ფარგლებში, ითვალისწინებს რა, რომ ბალკანეთის სამხრეთი კავშირი თურქეთის დანამაულით, უკვე მოკვდა. ვთხოვ მთავრობას მოიწვიოს პარლამენტი, რათა განიხილოს ეს შეკითხვა და მისცეს პარლამენტის დელეგაციის ასეთი მოლაპარაკების რწმუნება. პარლამენტის დელეგაცია, რაც შეიძლება მალე უნდა გაემგზავროს საბჭოთა კავშირში. ეს წინადადებანი ეროვნულ საჭიროებად მიმაჩნია“.

... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

თბილისი

იმიერკარპატის საგუნდო ხელოვნება

იმიერკარპატის სახელმწიფო გუნდი ჩამოყალიბდა 1945 წელს მხატვრული თვითმოქმედების მონაწილე ახალგაზრდა მომღერლების, მოცეკვავეებისა და მუსიკოსებისაგან. ეს იყო პირველი პროფესიული კოლექტივი იმიერკარპატში.

1951 წელს კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში, რისთვისაც გუნდის 36 წევრი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

პირველად თბილისში გუნდი იყო 1950 წელს. ამ დღეებში იგი 85 კაცის შემადგენლობით მეორედ ეწვია საგასტროლოდ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. 15 სექტემბერს ფილარმონიის ბაღის ღია ესტრადაზე გაიმართა კონცერტი. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელია მ. კრეჩკო.

ნიჭიერი საგუნდო კოლექტივის რეპერტუარშია კომპოზიტორ ვ. მურადელის „უკრაინა და რუსეთი“, იმიერკარპატული ხალხური სიმღერები „მიფრინავს ჩიტი“, „ოი, მაღალი მთის საძოვრებზე“, ზ. ფალიაშვილის „დელი დელა“, კომპოზიტორ ყარამურზას „ოი ნაზანიმ“, აგრეთვე რუსული, ჩინური, ესტონური და სხვა სიმღერები, იმიერკარპატის ყოველი კუთხის ხალხური ცეკვები — „უვივანეცი“, „დუბოტანეცი“, „ტროპოტიანკა“, „დუბკანი — სკაკანი“, გუცულური, ჩეხური, უნგრული, რუსული, მოლდავური და სხვ. გუნდთან ერთად გამოდიან სოლისტები მომღერლები მ. იგნაცი, მ. სენინა, ი. ოპალენიკი, ლ. ნოვიკოვა, მ. ცეკვავეები კ. ბალოგი, მ. ვოიტიხინა, კ. ბერნიკი, ი. სტანკანინეცი.

იმიერკარპატის გუნდი გამართავს რამდენიმე კონცერტს თბილისის საზაფხულო თეატრებში, აგრეთვე სოხუმში, გაგრაში და სხვ.

ზ. ძნელაძე.

* * *

სურათზე: იმიერკარპატების გუნდის კონცერტი. წინა პლანზე სოლისტები ტ. ბარტფაი (ბარცხნივ) და ი. ოპალენიკი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

... ეროვნულ-დემოკრატიული ... ფრონტის ... ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

ბერლინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). 16 სექტემბერს ბერლინში გაიმართა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა გერმანელი ხალხის ამოცანები მშვიდობის შენარჩუნებისათვის და გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. სხდომას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ი. დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვ. ულბრიხტი და ო. ნუშკე. სხდომაზე მოვიდნენ აგრეთვე დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა.

შემდეგ სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე სტუმრებმა დასავლეთ გერმანიიდან და დასავლეთ ბერლინიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ო. ნუშკემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვ. ულბრიხტმა.

სხდომის დასასრულს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მიმართვა ყველა გერმანელი პატრიოტისადმი, რომლითაც მოუწოდებს ყველა გერმანელ პატრიოტს გაერთიანდნენ მშვიდობისა და გერმანიის აღდგენისათვის ბრძოლაში.

გაიხსნა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის VI ყრილობა

ბერლინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ლაიპციგში გაიხსნა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის VI ყრილობა. ყრილობას ესწრება 900-მდე დელეგატი და სტუმარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე სტუმრები დასავლეთ გერმანიიდან. ყრილობის გახსნაზე, კერძოდ, ჩამოვიდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ფატერნი, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი ე. ვეზერი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალური მდივანი გ. გრიუნბერგი და სხვები.

ყრილობა, რომელიც სამ დღეს გასტანს, მიმდინარეობს გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ, ევროპის ხალხთა უშიშროებისათვის, გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

ყრილობის სახელზე მოვიდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობისა და ცალკეული პირების მრავალი მისასალმებელი წერილი. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, რომელსაც ხელს აწერს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, აღნიშნულია, თუ რა აქტიურ მონაწილეობას იღებს გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთელ დემოკრატიულ ძალებთან ერთად ახალი დემოკრატიული წესობილების მშენებლობაში.

ყრილობის დელეგატებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. პიკს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც ვალდებულებას კისრულობენ გააძლიერონ ბრძოლა პარიზის შეთანხმებათა და დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, სრულიად გერმანიის შეთანხმებისა და გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებისათვის ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ლ. ბოლცმა.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის სხდომა

ბერლინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ გაიმართა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის სხდომა, რომელზეც კანცლერმა ადენაუერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ ბრენტანომ გააკეთეს დაწვრილებითი ინფორმაციები მოსკოვის მოლაპარაკების მსვლელობისა და შედეგების შესახებ.

„დი ველტი“ იუწყება, რომ ფრაქციების თავმჯდომარეებმა 22 სექტემბრისათვის გაითვალისწინეს ბუნდესტაგის სხდომა, რომელიც მიეძღვნება საგარეოპოლიტიკურ საკითხებს და უწინარეს ყოვლისა მოსკოვში ფედერალური კანცლერის მოლაპარაკების შედეგებს. სხდომის მოწვევის საბოლოო თარიღს დააფიქსირებენ უხუცესთა საბჭო, რომელიც დღეს შეიკრიბება.

ეხება რა გამოხმაურებას კანცლერის ანგარიშის გამო, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაბინეტის დიდი უმრავლესობა განწყობილია საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ.

ინდოელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნა

ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს პორტუგალიის კოლონია გოა, რომელიც ფაქტიურად ინდოეთის ტერიტორიის ერთადერთი დღემდე გაუთავისუფლებელი რაიონია.

მრავალმილიონიანი ინდოელი ხალხი, რომელიც ენერგიულად ილაშქრებს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა კუთხეში, ვერ ურიგდება პორტუგალიელ კოლონიზატორთა თვითნებობას გოაში და მოითხოვს მოძმე ხალხის განთავისუფლებას.

ინდოეთში სულ უფრო ფართოვდება გოას განთავისუფლების მიზნით გაჩაღებული მოძრაობა. ამ მოძრაობას იქ პასიური წინააღმდეგობის მოძრაობას უწოდებენ. თვით სახელწოდებაც მოწმობს, რომ აღნიშნულ მოძრაობაში ჩაბმული ფართო მასები არ მიმართავენ იარაღს და მოითხოვენ გოას მშვიდობიანი გზით გათავისუფლებას.

გოას მშრომელ მოსახლეობას სურს ინდოეთთან შეერთება, მაგრამ პორტუგალიელი ხელისუფლები მას ამის შესაძლებლობას არ აძლევენ, სასტიკად სჯიან ყველას, ვინც ხმას იმაღლებს კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს, როცა ინდოელი ხალხი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების მერვე წლისთავს ზეიმობდა, პასიური წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებმა მშვიდობიანი დემონსტრაცია მოაწყეს გოაში. პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს შაშხანები, ავტომატები, ტყვიამფრქვევები. 15 ინდოელი მოხალისე მოკლულ იქნა, 226 კაცი დაიჭრა.

უიარაღო მოხალისეების დახვრეტამ აღაშფოთა ინდოელი ხალხი, აზიისა და აფრიკის მშრომელი მოსახლეობა, მთელი პროგრესული კაცობრიობა. პორტუგალიელ კოლონიზატორთა ვერაგული მოქმედების წინააღმდეგ ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები გაიმართა დელში, ბომბეიში, კალკუტაში, ჯაიპურსა და სხვა ქალაქებში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა, რომ ინდოელი ხალხი არ აპყვება პორტუგალიელ ხელისუფალთა ხრიკებს და არ მიმართავს იარაღს. „ექვი არ მეპარება, — თქვა ნერუმ 21 აგვისტოს, — რომ ჩვენ გადავჭრით გოას საკითხს და კოლონიური ჩაგვრისაგან გავათავისუფლებთ მის ხალხს მშვიდობიანი მეთოდებით“.

სურათზე: პორტუგალიელ კოლონიზატორთა მხეცური რეპრესიების საწინააღმდეგო დემონსტრაცია დელში. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000-ზე მეტმა კაცმა.

ფოტო პენჯაბ ფოტო სერვისისა.

სპორტის ამბები

საჭადრაკო ტურნირზე გეტებორგში

გეტებორგი, 17 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მე-19 ტურში პეტროსიანმა, რომელიც შავებით თამაშობდა, მოიკი პარტია თამამად ევრუდულად ითამაშა და გაიმარჯვა სლივაზე. სამომ, რომელიც რამდენადმე უარეს მდგომარეობაში იყო, ისარგებლა დონერის შეცდომით და მოიგო პარტია. უკეთეს მდგომარეობაში რაბინოვიჩი დროს გადაცილა პილნიკთან პარტიაში, და მას დამარცხება ჩაეთვალა. ყაინით დამთავრდა ფილიპ-გელერის, გიმარ-ბრონშტეინის და ფუდერერ-ილივიცკის პარტიები.

გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.

ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ინდოეთის რესპუბლიკის ნაკრები გუნდი — საბჭოთა კავშირის ნაკრები

ინდოეთის რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 16 სექტემბერს შეხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს. თამაში გაიმართა მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

შეჯიბრება მიმდინარეობდა სწრაფი ტემპით. მიუხედავად საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობისა, ინდოეთის სპორტსმენებმა არაერთხელ შეუქმნეს საფრთხე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კარს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნონ თავდასხმელები მ. კანიანი და ბ. ბაჰადური, მეკარე ს. სეტი.

შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით. (საკდესი).

ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ინდოეთის რესპუბლიკის ნაკრები გუნდი — საბჭოთა კავშირის ნაკრები

ინდოეთის რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი 16 სექტემბერს შეხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს. თამაში გაიმართა მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

შეჯიბრება მიმდინარეობდა სწრაფი ტემპით. მიუხედავად საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობისა, ინდოეთის სპორტსმენებმა არაერთხელ შეუქმნეს საფრთხე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კარს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნონ თავდასხმელები მ. კანიანი და ბ. ბაჰადური, მეკარე ს. სეტი.

შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით. (საკდესი).

... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

... ეროვნულ ... ბიბლიოთეკა

ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები

საქართველოს მუსიკალური ფონდი ყოველწლიურად უშვებს ქართველ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებსა და სასწავლო ლიტერატურას. ამ უკანასკნელ თვეებში გამოცემულია ა. ბალანჩივაძის კონცერტი № 2 ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, შ. აზმაიფარაშვილის პოემა ვიოლონჩელისათვის, ს. მირიანაშვილის სიმღერა — „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზო“, ა. ჩიმაკაძის — ხორეული კლარნეტისათვის, ა. ფარცხალაძის — საბავშვო სიმღერა „ირანეს ალბომი“, ვ. ცაგარეიშვილის — „დიდება პარტიას“, გ. კოკილაძის — „კომკავშირული მარში“, ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებები: დალი ჩხეიძის—ესკიზი, მ. დაციოაშვილის — „სათამაშოების სიმღერა“, ო. თაქთაქიშვილის — „სიმფონიური სურათი“, ს. ცინცაძის — „ჭრიჭინა“, შ. მილორავას — ორი მინიატიურა ფორტეპიანოსათვის, ბ. კვერნაძის — „ბალადა“ და სხვ.

სულ მიმდინარე წელს მუსიკალურმა ფონდმა გამოსცა 53 მუსიკალური ნაწარმოები.

საშეფო სპექტაკლი

ახალ სეზონში თბილისის თეატრები საშეფო მომსახურებას გაუწევენ მახლობელი რაიონების მშრომელებს. ამ დღეებში ასეთი საშეფო სპექტაკლი მოაწყო მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა სოფელ საგარეჯოში.

მტს�აის მუშა-მოსამსახურეებისათვის ნაჩვენები იყო ა. კაჭკაჭიშვილის პიესა „ამბავი ორი ბიჭისა“. სპექტაკლს წარმატება ხვდა.

მ. ი. კუტუზოვის ხსოვნის აღსანიშნავად

დიდი რუსი მხედართმთავრის მ. ი. კუტუზოვის დაბადების 210 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კ. მარქსის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურის გამოფენა.

გამოფენის განყოფილებებში „ი. ბ. სტალინი კუტუზოვის შესახებ“, „მ. ი. კუტუზოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“ მრავალად არის წარმოდგენილი ფოტოსურათები, მხატვრული ლიტერატურა დიდი მხედართმთავრის შესახებ. საინტერესოდ არის გაკეთებული განყოფილება „კუტუზოვი — 1812 წლის დიდი სამამულო ომის მხედართმთავარი“.

ყოველდღიურად გამოფენას მრავალი მნახველი ათვალიერებს.

ბროღი

მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა ბროლის ნაწარმზე. რუსთაველის პროსპექტზე ბროლის სპეციალიზებულ მაღაზიას ყოველთვის აქვს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბრიანსკის ბროლის ქარხნების პროდუქცია — ლამაზი ვაზები, ტუალეტის მოწყობილობა, მრავალი სახის ჭიქები, არყისა და ლიქიორის კომპლექტები, საყვავილეები, სულ 500-მდე სახელწოდების ბროლის საგნები.

მაღაზიამ წელს 31 ვაგონი ბროლი მიიღო, 3.600.000 მანეთის პროდუქცია გაყიდა და წლიური გეგმა 8 თვეში შეასრულა.

ბროლი დიდი რაოდენობით იყიდება აგრეთვე თბილისის უნივერმაღებში.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაცაკიძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — შჩელკუნჩიკი (დილას), კარმენი (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ხალისიანი მეგობრები (დილა-საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მოსამართლე მანეში (დილას), ნინა (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ერთი სიყვარულის ისტორია (დილას), ტურბინთა დღეები (საღამოს), სომხური დრამის — ქამო (დილა-საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 18, 12 ს. და აბონემენტი № 41, 7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ახალი მხატვრული ფილმი, ამირანი (საზამთრო), სპარტაკი, თბილისი, კომუნარების ბაღი — ფუნთუშა, კომკავშირელი, დიდუბე (საზამთრო) — სიყვარულის ასაკი, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — თავადის ასული მერი, კოლხიდა (საზამთრო) — წყლის ვარსკვლავები, ისანი (საზაფხულო) — ვოლგა-ვოლგა, 26 კომისრის (საზაფხულო) —სიცილიის ცის ქვეშ, დიდუბე (საზაფხულო) — ლიმერიკნა, კოლმეურნე — დონ ეუანი, კიროვის სახელობის პარკი — ახალი მხატვრული ფილმი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ჭირვეული მარიეტა.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხით შეიძლება მოიგოთ 400-დან 100.000-მდე მანეთი

1955 წლის 30 სექტემბერს ქ. მოსკოვში შედგება

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 47-ე ძირითადი და მე-8 დამატებითი ტირაჟები.

სესხის 7 თანრიგზე ძირითად ტირაჟში გათამაშდება 32.551.400 მანეთის 59.500 მოგება, დამატებითს ტირაჟში კი 79.734.200 მანეთის 80.500 მოგება.

ტირაჟებში გათამაშდება 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400 მანეთიანი მოგებანი.

გარდა ამისა, დამატებითს ტირაჟში გათამაშდება 100.000 მანეთიანი მოგება.

47-ე ძირითად ტირაჟში მონაწილეობს ყველა ობლიგაცია, მიუხედავად მათი შეძენის ვადისა. მე-8 დამატებითს ტირაჟში მონაწილეობენ ის ობლიგაციები, რომლებიც შეძენილია 1955 წლის 1 იანვრამდე და რომლებსაც ახლავს № 8 და ყველა მომდევნო ტალონი.

1956 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები იყიდება № 9 ტალონითურთ, რაც იძლევა მე-9 დამატებითს ტირაჟში მონაწილეობის უფლებას. მე-9 დამატებითი ტირაჟი კი შედგება 1956 წლის 30 სექტემბერს.

1956 წლის 1 იანვრიდან გაყიდულ ობლიგაციებს № 9 ტალონი აღარ ექნება.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები. შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

18 სექტემბერს

ფეხბურთი

საქართველოს პირველობაზე

„დინამო“ (გორი) — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (თბილისი)

დასაწყისი 5 საათზე.

საქტყემშენავჭრობის თბილისის სავაჭრო საწყობი № 1 ჰყიდის მოსახლეობაზე სტანდარტულ სახლებს ორ და სამოთახიანს ნაღდ ანგარიშზე.

მისამართი: ბრძოლის ქ. № 125.

მეუღლე ვიქტორ, შვილები გულნარა, იულია, ოთარ, ზურაბ იუწყებიან

ელენე ანტონის ასულ ოყროშიძე-კასრაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX, 6 ს. ქუთაისში. გამოსვენება კოლმეურნეთა ქ. № 11.

შვილები მარგარიტა, ნინო, ქეთო, სონია ოჯახებით იუწყებიან

ოლღა სოლომონის ასულ მახარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX ქ. ზესტაფონში. გამოსვენება რუსთაველის ქ. № 11.

მეუღლე ქსენია, შვილი ნინო ოჯახით იუწყებიან

ყარამან დიმიტრის-ძე გობრონიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX ქ. მახარაძეში. გამოსვენება ტელმანის ქ. № 7.

მეუღლე იოსებ, შვილები თამარ, შოთა, ვერა ოჯახებით იუწყებიან

ბაბილინა დიმიტრის ასულ ჯანგველაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-IX, 7 ს. გამოსვენება 20-IX, 4½ ს. ბინიდან, ვოროშილოვის ქ. № 56-ა.

შვილები აგრაფინა, ვალენტინა, თამარ, მიხეილ, ალექსანდრე, გურამ იუწყებიან

სიმონ ივანეს-ძე ნაზაროვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IX, 8 ს. გამოსვენება 20-IX, 5 ს. კვალის ქ. № 15.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სამმართველოს მუშაკები იუწყებიან

მალაქია გიორგის-ძე ფოჩხიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 18-IX, 5 ს. კერესელიძის ქ. № 23.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

2

УЭ 04187

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.